საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
იურიდიული დახმარების
სამსახური

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
LEGAL AID SERVICE

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-03-178 „19" „02" 2016 წ.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში საქმეთა განაწილების საგამონაკლისო წესის დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში საქმეების განაწილების შემდეგი საგამონაკლისო წესი:

1.1. არასამუშაო დროს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში შემოსული საქმეები ადვოკატებზე განაწილდება მორიგეობის გრაფიკის მიხედვით, რომელსაც ყოველი თვის დასაწყისში ადგენს ბიუროს უფროსი. მორიგეობის გრაფიკი ითვალისწინებს მორიგე ადვოკატების რიგითობას სამორიგეო ჯგუფში. რიგითობის წესი განისაზღვრება იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 30/12/2015 წლის # 01/–03–1316 ბრძანების 1.2. პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა გათვალისწინებით. სამორიგეო ჯგუფში ადვოკატების რაოდენობას განსაზღვრავს ბიუროს უფროსი ბიუროს დატვირთვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1.2. სამუშაო დროის განმავლობაში თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში შემოსული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[4] თავით გათვალისწინებული (ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით) საქმეები განაწილდება სისხლის და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატებზე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 30/12/2015 წლის # 01/–03–1316 ბრძანების 1.2. პუნქტის შესაბამისად, ხოლო არასამუშაო დღეებში – მორიგეობის გრაფიკის

მიხედვით სამოქალაქო სპეციალიზაციით მომუშავე ადვოკატებზე, როგორც წესი.

1.3. ამ გრძანების 1.1 და 1.2 პუნქტი არის საგამონაკლისო წესი. სხვა შემთხვევაში თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში გამოიყენება ,,სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების საქმეთა განაწილების სისტემის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 30/12/2015 წლის #01/–03–1316 გრძანებით განსაზღვრული საქმეთა განაწილების სისტემა.

1.4. დაევალოს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსს გრძანება გააცნოს ადვოკატებს.

სამსახურის დირექტორი მელიტონ ბენიძე